საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 362 2018 წლის 26 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), ევროპის საინვესტიციო ბანკსა (EIB) და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღები ორგანოს განსაზღვრის შესახებ

1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), ევროპის საინვესტიციო ბანკსა (EIB) და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულებით (ტექნიკური დახმარების საგრანტო ხელშეკრულება – „ქუთაისის წყალარინების პროექტის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა“) გათვალისწინებული გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

2. მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ხელი მოაწეროს საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), ევროპის საინვესტიციო ბანკსა (EIB) და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ შორის გასაფორმებელ საგრანტო ხელშეკრულებას (ტექნიკური დახმარების საგრანტო ხელშეკრულება – „ქუთაისის წყალარინების პროექტის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა“).

მამუკა ბახტაძე